**შემოსავლების სამსახურის უფროსის**

**ბრძანება №26735**

**2023 წლის 30 ოქტომბერი**

**ქ. თბილისი**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**1.** „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №12):

**ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი$^{2}$“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი$^{3}$“ და „ი$^{4}$“ ქვეპუნქტები:**

„ი$^{3}$) „სატრანზიტო სისტემაში (NCTS)“ დეპარტამენტის თანამშრომელთა და საქართველოში დაფუძნებული პირების დაშვებას და დაშვების გაუქმებას;

ი$^{4}$) „სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენების მიზნით ტვირთის უფლებამოსილი გამგზავნის/უფლებამოსილი მიმღების სტატუსის მაძიებლის განცხადების განხილვას და სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობების შემოწმებას, ტვირთის უფლებამოსილი გამგზავნის/უფლებამოსილი მიმღების სტატუსის მინიჭების, მინიჭებაზე უარის თქმის, სტატუსის შეჩერებისა და სტატუსის გაუქმების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების წარმართვას, ტვირთის უფლებამოსილი გამგზავნის/უფლებამოსილი მიმღების სტატუსის მქონე პირთა შესახებ მონაცემების დამუშავება-ანალიზს, ტვირთის უფლებამოსილი გამგზავნის/უფლებამოსილი მიმღების სტატუსის მქონე პირთა კონტროლს;“;

**ბ) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „კ$^{2}$“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ$^{3}$“ ქვეპუნქტი:**

„კ$^{3}$) იღებს გადაწყვეტილებას „სატრანზიტო სისტემაში (NCTS)“ დეპარტამენტის თანამშრომელთა და საქართველოში დაფუძნებული პირის დაშვების, დაშვებაზე უარის თქმის, დაშვების შეჩერების ან დაშვების გაუქმების შესახებ;“;

**გ) 22-ე მუხლის „დ$^{6}$“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ$^{7}$“ და „დ$^{8}$“ ქვეპუნქტები:**

„დ$^{7}$) „სატრანზიტო სისტემაში (NCTS)“ დეპარტამენტის თანამშრომელთა და საქართველოში დაფუძნებული პირის დაშვების მიზნით გადაწყვეტილების მიღების, მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების ან გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება, დაშვების და დაშვების გაუქმების ტექნიკური უზრუნველყოფა;

დ$^{8}$) „სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენების მიზნით ტვირთის უფლებამოსილი გამგზავნის/უფლებამოსილი მიმღების სტატუსის მაძიებლის განცხადების განხილვა და სტატუსის

მისაღებად აუცილებელი პირობების შემოწმება, ტვირთის უფლებამოსილი გამგზავნის/უფლებამოსილი მიმღების სტატუსის მინიჭების, მინიჭებაზე უარის თქმის, სტატუსის შეჩერებისა და სტატუსის გაუქმების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების წარმართვა, ტვირთის უფლებამოსილი გამგზავნის/უფლებამოსილი მიმღების სტატუსის მქონე პირთა შესახებ მონაცემების დამუშავება-ანალიზი, ტვირთის უფლებამოსილი გამგზავნის/უფლებამოსილი მიმღების სტატუსის მქონე პირთა კონტროლი;".

**2.** ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**სამსახურის უფროსი** **ლევან კაკავა**